2004 წლის 23 სექტემბერს საქართველო მიუერთდა „ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ“ ლისაბონის შეთანხმებას. ამ შეთანხმების საფუძველზე 2004 წლის 11 ნოემბერს საერთაშორისო ბიუროში წარდგენილი იქნა განაცხადები 8 ქართული ღვინისა და 2 მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელებების დასრეგისტრირებლად. მათი საერთაშორისო რეგისტრაციის ნომრებია: №855 – “Tsinandali”, №856 – “Teliani”, №857 – “Napareuli”, №858 – “Mukuzani”, №859 – “Akhasheni”, №860 – “Gurjaani”, №861 – “Kindzmarauli”, №862 – “Khvanchkara”, №863 – “Borjomi” და №864 – “Nabeglavi”. 2005 წლის 11 ნოემბრიდან ყველა ეს დასახელება სარგებლობს დაცვით შეთანხმების მონაწილე ყველა ქვეყანაში, გარდა ისრაელისა, სადაც გრძელდება სასამართლო პროცესები დასახელებებისათვის – „ქინძმარაული“, „ხვანჭყარა“ და „ბორჯომი“ – დაცვის მინიჭების თაობაზე, და ბულგარეთისა, სადაც მსგავსი პროცესები „ქინძმარაულსა“ და „ხვანჭყარასთან“ ერთად გრძელდება დასახელებებისათვის „წინანდალი“, „მუკუზანი“ და „ახაშენი“.

ლისაბონის შეთანხმების საფუძველზე 2005 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დაცვა მიენიჭა ამ შეთანხმების მონაწილე ქვეყნების 781 რეგისტრირებულ ადგილწარმოშობის დასახელებას.

its first number, and on 30.08.05 four more Georgian wines were recorded: “Mukuzani”, “Tsinandali”, “Akhasheni” and “Gurjaani”.

The map of Georgia with the indications of the geographical location of the above mentioned appellations micro-zones is given below.


On September 23 Georgia acceded to the Lisbon Agreement for the Protection of Appellations of Origin and their International Registration. On the basis of this Agreement on November 11, 2004 with the purpose of registration of appellations of origin, applications of the 8 Georgian wines and 2 mineral waters were submitted to the International Bureau. Their international registration numbers are: No 855 – “Tsinandali”, No 856 – “Teliani”, No 857 – “Napareuli”, No 858 – “Mukuzani”, No 859 – “Akhasheni”, No 860 – “Gurjaani”, No 861 – “Kindzmarauli”, No 862 – “Khvanchkara” No 863 – “Borjomi” and No 864 – “Nabeglavi”. From November 2005 all these appellations enjoy protection in all the member countries of the Lisbon Agreement, except Israel, where judicial proceedings are going on for granting protection to the appellations “Kindzmarauli”, “Khvanchkara”, “Borjomi”, and Bulgaria, where similar processes are going on for “Tsinandali”, “Mukuzani”, and “Akhasheni”, along with “Kindzmarauli” and “Khvanchkara”.

On the basis of the Lisbon Agreement in 2005 protection in the territory of Georgia was granted to 781 registered appellations of origin of the member states of this Agreement.






ხვანჭკარის მიკროზონა KHVANCHKARA MICROZONE



წინაედლის მიკროზონა
TSINANDALI MICROZONE



მუკუზანის მიკროზონა
MUKUZANI MICROZONE



გურჯაანის მიკროზონა GURJAANI MICROZONE



ახაშენის მიკროზონა AKHASHENI MICROZONE



საავტორო უფლებები COPYRIGHT

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტი“ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების რეგისტრაცია მიმდინარეობს 2001 წლის 1 იანვრიდან, ანუ საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სახელმწიფო სააგენტოს საქპატენტთან გაერთიანების შემდეგ.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის აღრიხედელი რედაქციის შესაბამისად, საავტორო უფლების მფლობელს უფლება ჰქონდა რეგისტრაციაში გაეტარებინა ნაწარმოები და მიეღო რეგისტრაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შემდეგ რეგისტრაციის პროცედურა შეიცვალა ნაწარმოების დეპონირებით; ამასთან, საავტორო უფლებების მფლობელს ეძლევა შესაბამისი მოწმობა. როგორც ცნობილია, საავტორო სამართლის ფუძემდებლური პრინციპიდან გამომდინარე, ნაწარმოების დეპონირება არ არის აუცილებელი საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის. საავტორო უფლებები ნაწარმოებზე წარმოიშობა ავტომატურად მისი შექმნის მომენტიდან, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა.

ბოლო 3 წლის რეგისტრაციისა და დეპონირების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ წლიდან წლამდე იზრდება ნაწარმოებების ავტორთა მობართვები დეპონირებისა და შესაბამისი მოწმობის მიღების თაობაზე. ეს უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში სულ უფრო მეტი ავტორი მიმართავს დეპონირების სისტემას, როგორც თავისი საავტორო უფლებების უზრუნველყოფის ერთ-ერთ საჭირო კომპონენტს.

The registration of scientific, literary and artistic works at the National Intellectual Property Centre of Georgia Sakpatenti has been made since January 1, 2001, the date on which the State Agency of Copyright and Related Rights of Georgia was united with Sakpatenti.

According to the previous edition of the Law of Georgia “On Copyright and Related Rights” the holder of copyright was entitled to register a work and obtain a certificate confirming the registration.

After making amendments to the Law “On Copyright and Related Rights” (03.06.2005 №1585) the procedure of registration was substituted by the deposition of a work, along with this, the holder of copyright is given a relevant certificate (9¹, §1). As is known, proceeding from the basic principle of copyright law, the deposition of the work is not necessary for the rise and enforcement of copyright. Copyright in a work arises automatically from the moment of its creation when it is fixed in some objective form permitting it to be perceived and reproduced.

The analysis of the results of the registration and deposition over the last five years has shown that the number of applications from authors of works for deposition and obtainment of the relevant certificate increases from year to year (see table 2.6.1). This certainly indicates that more and more authors in Georgia resort to the deposition system as one of the necessary components of ensuring their copyright.

საავტორო უფლებების რეგისტრაცია (2001-2004) დეპონირება (2005)
COPYRIGHT REGISTRATION (2001-2004) DEPOSITION (2005)

		2001	2002	2003	2004	2005		
ლიტერატურის ნაწარმოები	წიგნი	19	36	83	169	107	BOOK	LITERARY WORK
	ბროშურა	3	6	–	7	6	BOOKLET	
	სტატია	12	49	62	156	170	PAPER	
	ჯომიკბ. პროგრამა	5	7	2	7	12	COMPUTER PROGRAM	
	სხვა	18	40	94	80	101	OTHER	
საცენარო ნაწარმოები	დრამატული	2	4	–	–	8	DRAMATIC	SCENARIOS WORK
	მუსიკალურ- დრამატული	1	–	–	1	1	DRAMATICO- MUSICAL	
	ქორეოგრაფია	–	–	–	–	–	CHOREOGRAPHIC	
	ჰანტოშიმა	–	–	–	–	–	DUMB SHOW	
	სხვა	–	–	–	–	–	OTHER	
მუსიკალური ნაწარმოები		9	11	9	15	27	MUSICAL WORKS	
აუდიოვიზუალური ნაწარმოები		9	18	24	48	24	AUDIOVISUAL WORKS	
სახვითი ხელოვნება	საუბრა	–	–	2	2	2	SCULPTURE	FINE ARTS
	ფერწერა	–	2	–	1	1	PAINTING	
	გრაფიკა	11	8	20	32	33	DRAWING	
	ლითოგრაფია	–	1	–	–	1	LITHOGRAPHY	
	სხვა	–	–	–	–	–	OTHER	
დაორკაბილ-გამოყენებითი ან მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოები		1	9	–	8	13	DECORATIVE APPLIED OR MONUMENTAL	
თეატრალური დაორკაბილური ხელოვნების ნაწარმოები		–	–	–	–	–	THEATRICAL DECORATIVE	
არქიტექტურული, ქალაქგეგმვალოვის ნაწარმოები		3	7	14	15	14	ARCHITECTURE, TOWN-PLANNING	
ფოტოგრაფიული ნაწარმოები		–	–	2	8	–	PHOTOGRAPHY	
კარტოგრაფია, გეგმა, ესკიზი ილუსტრაცია და სხვ.		–	–	–	–	8	CARTOGRAPHY, PLAN, SKETCH, ILLUSTRATION AND OTHER	
გადათარგმნილი ნაწარმოები		1	1	–	–	–	DERIVED WORKS	
შადგენილი ნაწარმოები		–	9	9	2	15	COMPILED WORKS	
სხვა		–	–	5	–	–	OTHER	
სულ		94	208	326	551	543	TOTAL	

ანალოგიური ტენდენციები შეიმჩნევა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რასაც მოწმობს ისმო-ს სამდივნოს მიერ მომზადებული გამოკვლევა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში ეროვნული კანონმდებლობებისა და ნებაყოფლობითი რეგისტრაციის სისტემების შესახებ“, რომელიც 2005 წლის 21-23 ნოემბერს განიხილებოდა ისმო-ს საავტორო და მომიჯნავე უფლებების მუდმივი კომიტეტის მე-13 სესიაზე.

Similar tendencies are observable in various countries of the world, which is reflected in “Survey of National Legislation on Voluntary Registration Systems for Copyright and Related Rights,” prepared by the WIPO Secretariat, discussed at the Thirteenth Session of the Standing Committee on Copyright and Related Rights, November 21-23, 2005.

უფლებების გადაცემა. ლიცენზიები ASSIGNMENT. LICENSES

სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლებათა გადაცემის ხელშეკრულებისა და მათ გამოყენებაზე გაცემული ლიცენზიების რეგისტრაცია წარმოებს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტი“. ბოლო სამი წლის განმავლობაში გადაცემული უფლებებისა და გაცემული ლიცენზიების უმრავლესობა ეხება სასაქონლო ნიშნებს. კერძოდ, 2003 წელს „საქპატენტი“ დარეგისტრირდა: გამოგონებებზე უფლებათა გადაცემის 10 ხელშეკრულება, 1 – სასარგებლო მოდელზე, 2 – სამრეწველო ნიმუშზე და 414 – სასაქონლო ნიშნებზე. 2004 წელს საქპატენტი რეგისტრირებულ იქნა უფლებათა გადაცემის 17 ხელშეკრულება გამოგონებებზე, 3 – სამრეწველო ნიმუშებზე და 191 – სასაქონლო ნიშნებზე, საიდანაც 183 ხელშეკრულება ითვალისწინებდა უფლებათა სრულ გადაცემას, ხოლო 8 – უფლებათა ნაწილობრივ გადაცემას. 2005 წელს რეგისტრირებულ იქნა 5 უფლებათა გადაცემის ხელშეკრულება გამოგონებებზე, 2 სამრეწველო ნიმუშებზე და 479 სასაქონლო ნიშნებზე. აქედან 424 ხელშეკრულება ითვალისწინებდა უფლებათა სრულ გადაცემას, ხოლო 55 – ნაწილობრივს.

სამრეწველო საკუთრების ობიექტების გამოყენებაზე ლიცენზიის ხელშეკრულების რაოდენობა წლების მიხედვით ასე ნაწილდება:

2003 წელს საქპატენტი რეგისტრირებულ იქნა 94 მარტივი სალიცენზიო ხელშეკრულება. აქედან 3 – გამოგონებაზე და 91 – სასაქონლო ნიშანზე. ასევე რეგისტრირებულ იქნა 3 განსაკუთრებული სალიცენზიო ხელშეკრულება: 1 – სასარგებლო მოდელზე და 2 სასაქონლო ნიშანზე.

Assignment Agreement concerning industrial property subject-matters and licenses granted for their use are registered at the National Intellectual Property Center Sakpatenti. The majority of assignments and licenses granted during the last three years concerned trademarks. In particular, in 2003 10 assignment agreements, 1 on utility model, 2 on industrial designs and 414 on trademarks, were registered at Sakpatenti. In 2004 17 assignment agreements on inventions, 3 on industrial designs and 191 on trademarks were registered at Sakpatenti, amongst 183 agreements provided for complete transfer of rights, and 8 – for partial transfer of rights. In 2005 5 assignment agreements on inventions, 2 on industrial designs and 479 on trademarks were registered at Sakpatenti. Amongst 424 agreements provided for complete transfer of rights, and 55 – for partial.

As to the number of license agreements for use of industrial property subject-matters, the situation is the following according to years:

In 2003 94 simple license agreements were registered at Sakpatenti, amongst 3 on inventions and 91 on trademarks. At the same time, 3 exclusive license agreements were registered, 1 on utility model and 2 on trademarks.

2004 წელს დარეგისტრირდა 62 მარტივი სალიცენზიო ხელშეკრულება. აქედან 1 – გამოგონებაზე და 61 – სასაქონლო ნიშანზე. გარდა ამისა, საქპატენტში მოხდა 6 განსაკუთრებული სალიცენზიო ხელშეკრულების რეგისტრაცია, რომლებიც შეეხებოდა სასაქონლო ნიშნებს.

2005 წელს რეგისტრირებულ იქნა 78 მარტივი სალიცენზიო ხელშეკრულება. აქედან 3 – გამოგონებაზე და 75 – სასაქონლო ნიშანზე. ასევე, დარეგისტრირდა 9 განსაკუთრებული სალიცენზიო ხელშეკრულება სასაქონლო ნიშანზე.

In 2004 62 simple license agreements were registered at Sakpatenti, amongst 1 on invention and 61 on trademarks. In addition, 6 exclusive licenses on trademarks were registered at Sakpatenti.

In 2005 78 simple licenses were registered, amongst, 3 on inventions and 75 on trademarks. At the same time, 9 exclusive licenses were registered on trademarks.

სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლებების გადაცემა
და სალიცენზიო ხელშეკრულებები

ASSIGNMENT OF INDUSTRIAL PROPERTY RIGHTS AND LICENSE AGREEMENTS

ხელშეკრულების სახეები KINDS OF AGREEMENT		გამოგონება INVENTIONS			სასარგებლო მოდელი UTILITY MODELS			სამრეწველო ნიშანი INDUSTRIAL DESIGNS			სასაქონლო ნიშანი TRADEMARKS			სულ TOTAL		
		2003	2004	2005	2003	2004	2005	2003	2004	2005	2003	2004	2005	2003	2004	2005
უფლებების გადაცემა ASSIGNMENT	სრული COMPLETE	10	17	5	1			2	3	2	414	183	424	427	203	431
	ნაწილობრივი PARTIAL											8	55		8	55
ლიცენზიები LICENSES	მარტივი SIMPLE	3	1	3							91	61	75	94	62	78
	განსაკუთრ. EXCLUSIVE				1						2	6	9	3	6	9
სულ TOTAL		13	18	8	2			2	3	2	507	258	563	524	279	573

დაპუბი DISPUTES

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტი“ ფუნქციონირებს სააპელაციო პალატა, რომელიც განიხილავს სამრეწველო საკუთრების ობიექტების ექსპერტიზასთან დაკავშირებულ დავებს. სააპელაციო პალატას თავმჯდომარეობს საქპატენტის გენერალური დირექტორი. სააპელაციო პალატაში დავებს განიხილავს კოლეგია, რომლებიც შედგება საქპატენტის ორისტებისა და იმ ექსპერტებისაგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ სადავო ობიექტის ექსპერტიზის პროცესში. კოლეგიების შემადგენლობას ამტკიცებს სააპელაციო პალატის თავმჯდომარე.

სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე განმცხადებლისა და მესამე პირების მიერ სააპელაციო პალატაში ყოველწლიურად შემოტანილი დავების რაოდენობა ასის ფარგლებში მერყეობს. საყურადღებოა, რომ 2004 წელს შეიმჩნეოდა აპელაციების რაოდენობის გარკვეული შემცირება, რაც აიხსნება იმით, რომ 2002-2003 წლებში, ე.ი. დაახლოებით დროის იმ შუალედით ადრე, რაც ექსპერტიზის ჩასატარებლად არის საჭირო (1-1,5 წელი), საქპატენტში ყველაზე ნაკლები განაცხადები იქნა შემოტანილი. ამასთან, საჩივართა განხილვის შედეგები ასეთია: 2003 წელს საქპატენტის სააპელაციო პალატაში შემოვიდა ერთი აპელაცია სასარგებლო მოდელზე და 133 სააპელაციო საჩივარი სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით. აქედან სრულად დაკმაყოფილდა 97 სააპელაციო საჩივარი, ხოლო ნაწილობრივ – 1. 2004 წელს საქპატენტში შემოვიდა 95 სააპელაციო საჩივარი, აქედან 2 – სამრეწველო ნიმუშზე და 93 – სასაქონლო ნიშანზე. მათგან სრულად დაკმაყოფილდა 59 საჩივარი, ხოლო ნაწილობრივ – 3. 2005 წელს საქპატენტში შემოვიდა 139 საა-

The Chamber of Appeals, that hears the disputes connected with examination of the industrial property subject-matter, functions at the National Intellectual Property Center Sakpatenti. The Chairman of the Chamber of Appeals is the Director General of Sakpatenti. The Chamber of Appeals hears the disputes in the complement of a board. The boards consist of the lawyers of Sakpatenti and examiners that have not participated in the examination process of the disputable subject-matter. The Chairman of the Chamber of Appeals approves the board complement.

As to the number of appeals filed by the applicants and third persons with respect to the industrial property subject-matters it varies within 100. It is interesting that in 2004 reduction in the number of appeals was observed. It may be explained by the fact that in 2000-2003, i.e. earlier than the time period required for examination for taking a decision (1-1,5 year), the number of applications filed was the lesser. Whereas, the picture of the applications hearing results are as follows: in 2003 one appeal with respect to the utility model and 133 appeals with respect to the trademarks were filed with the Chamber of Appeals of Sakpatenti. Amongst 97 appeals were upheld fully, and 1 - partially. In 2004 95 appeals were filed with Sakpatenti, amongst 2 with respect to the industrial designs and 93 with respect to the trademarks. 59 appeals were upheld fully and 3 -

სააკველასიო პალატაში შემოტანილი და განხილული აპელაციების რაოდენობა
NUMBER OF APPEALS FILED WITH AND CONSIDERED BY THE CHAMBER OF APPEALS

ობიექტი SUBJECT-MATTER		2003		2004		2005		სულ TOTAL	
		მიღბ. FILED	განხილ. EXAMIN.	მიღბ. FILED	განხილ. EXAMIN.	მიღბ. FILED	განხილ. EXAMIN.	მიღბ. FILED	განხილ. EXAMIN.
გამოგონება INVENTION	განმცხ. APPLIC.					1	1	1	1
	III პირი PARTY								
სასარგებლო მოდელები UTILITY MODEL	განმცხ. APPLIC.								
	III პირი PARTY	1	1			1		2	1
სამრეწველო ნიშნები INDUSTRIAL DESIGN	განმცხ. APPLIC.			2	2			2	2
	III პირი PARTY								
სასაქონლო ნიშნები TRADEMARKS	განმცხ. APPLIC.	117	114	88	87	119	111	324	312
	III პირი PARTY	16	12	5	5	18	16	39	33
სულ TOTAL	განმცხ. APPLIC.	117	114	90	89	120	112	327	315
	III პირი PARTY	17	12	5	5	19	16	40	33

ველაცო საჩივარი, აქედან 1 – გამოგონებაზე, 1 – სასარგებლო მოდელებზე და 137 – სასაქონლო ნიშნებზე. მათგან სრულად დაკმაყოფილდა 91, ხოლო ნაწილობრივ – 3 სააპელაციო საჩივარი. ბოლო სამი წლის განმავლობაში სააპელაციო პალატამ უარყოფითი გადაწყვეტილება გამოიტანა 93 საჩივართან დაკავშირებით.

როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, საქპატენტის სააპელაციო პალატაში შემოსული დავების უმრავლესობა ეხება სასაქონლო ნიშნებს, რაც მეტყველებს ამ ობიექტისადმი განსაკუთრებულ ინტერესზე.

partially. In 2005 139 appeals were filed with Sakpatenti, amongst 1 with respect to the invention, 1 with respect to the utility model and 137 – to trademarks. Amongst 91 appeals were upheld fully, and 3 appeals - partially. During the last three years the Chamber of Appeals refused 93 appeals.

As the statistical data show, most of the disputes heard at the Sakpatenti Chamber of Appeals concern trademarks, undoubtedly speaking for the special interest in this subject-matter.



საპატენტო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა
 NUMBER OF DECISIONS TAKEN BY THE CHAMBER OF APPEALS

ობიექტები SUBJECT-MATTERS		2003			2004			2005		
		დაბ. UPHELD		უარქმ. REJECTED	დაბ. SATISF.		უარქმ. REJECTED	დაბ. SATISF.		უარქმ. REJECTED
		სრულად COMPLETE	ნაწილ. PART.		სრულად COMPLETE	ნაწილ. PART.		სრულად COMPLETE	ნაწილ. PART.	
გამოგონება INVENTION	ბანძმბ. APPLIC.								1	
	III პირი PARTY									
სასარგებლო მოდელი	ბანძმბ. APPLIC.									
	III პირი PARTY									
სამრეწველო ნიშები	ბანძმბ. APPLIC.				1	1				
	III პირი PARTY									
ნიშნები MARKS	ბანძმბ. APPLIC.	94	1	19	59	1	27	82	2	27
	III პირი PARTY	3		9		1	4	9		7
სულ TOTAL	ბანძმბ. APPLIC.	94	1	19	60	2	27	82	3	27
	III პირი PARTY	3		9		1	4	9		7

კანონმდებლობა LAWMAKING

საქპატენტისათვის 2005 წელი აღინიშნა ძალზე ნაყოფიერი კანონმდებლობითი საქმიანობით. მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელი 6 კანონის მიღებიდან არც თუ ისე დიდი დრო გავიდა. გაჩნდა ისეთი ახალი გარემოებები, რომლებმაც აუცილებელი გახადა ცვლილებებისა და დამატებების პროექტების მომზადება.

განვიხილო პერიოდში, საქართველო შეუერთდა სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებას, მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) ე.წ. „ინტერნეტ შეთანხმებებს“ „საავტორო უფლებების შესახებ“ (WCT) და „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“ (WPPT) 2001 წელს და შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვის რომის კონვენციას 2004 წელს.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის 1996 წელს დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების (PCA) შესაბამისად, საქართველომ აიღო ვალდებულება პერმანენტულად მოეხდინა ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქპატენტი უკვე 2005 წლიდან პრაქტიკულად დაიწყო მუშაობა მოქმედ კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონპროექტების მოსამზადებლად; ამ პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის

The year 2005 was marked for Sakpatenti by very fruitful lawmaking activities. Although the six laws regulating intellectual property were adopted not long ago (in 1999), new circumstances have arisen that necessitated the preparation of drafts of amendments.

Over the recent period Georgia has acceded to various international treaties, among these, the so-called “Internet Treaties” of the World Intellectual Property Organization (WIPO), WIPO Copyright Treaty (WCT) and WIPO Performances and Phonograms Treaty (WPPT) in 2001, and International Convention for the Protection of Performers, Producers of Phonograms and Broadcasting Organizations (Rome Convention) in 2004.

Under the Partnership and Cooperation Agreement (PCA) concluded between Georgia and the European Union in 1996, Georgia assumed the obligation to harmonize permanently the national legislation with that of the European Union, including the intellectual property sphere.

Proceeding from the above-mentioned, already from 2005 practical work began in Sakpatenti to prepare amendments to the existing laws, in which experts of the Eurointegration Committee of the Parliament of Georgia and GEPLAC also participated.

On January 28, 2005 the Eurointegration Committee of the Parliament of Georgia, the Mission of the European Union in Georgia, Sakpatenti and GEPLAC organized

კომიტეტისა და GEPLAC-ის ექსპერტებმაც.

2005 წლის 28 იანვარს საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის, საქართველოში ევროკავშირის მისიის, საქპატენტისა და GEPLAC-ის მიერ გაიმართა მომზადებული კანონპროექტების პრეზენტაცია ფართო საზოგადოების წინაშე, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, საქართველოში ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების წარმომადგენლები, პატენტრწმუნებულები, ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერები და ექსპერტები, ბიზნესის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

მომზადებული კანონპროექტები წარედგინა საქართველოს პარლამენტს და 2005 წელს მიღებული იქნა რამდენიმე მათგანი. უერთოდ:

2005 წლის 3 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა დაასრულა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების კანონპროექტის განხილვა, რომელიც ამავე წლის ივნისში შევიდა ძალაში.

კანონში შეტანილი 150-ზე მეტი ცვლილება და დამატება პირობითად შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად.

პირველი ჯგუფი დაჯავშირებულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენებასთან კიბერ სივრცეში, მათ შორის, „ინტერნეტში“. ევროკავშირის 2001/29/EC დირექტივისა და ისმოს ინტერნეტ შეთანხმებების (WCT, WPPT) მოთხოვნათა გათვალისწინებით შეიცვალა სხვადასხვა ტერმინების განმარტებები, მათ შორის, „საჯარო გადაცემა“, „უფლებების მართვის ინფორმაცია“. შემოტანილი იქნა ახალი ტერმინები, მათ შორის, „ტექნოლოგიური საშუალებები“, „ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლა“, „დროებითი ასლი“ და სხვ.

ცვლილებებისა და დამატებების მეორე ნაწილი შეეხება აუდიოვიზუალური

a presentation of the prepared draft laws to the general public, which was attended by Members of the Parliament of Georgia, the Head of the Mission of the European Union in Georgia, the Deputy State Minister, representatives of various ministries and offices, patent attorneys, scientists and experts working in this sphere, representatives of business and other interested parties.

The prepared draft laws were submitted to the Parliament of Georgia and some of them were adopted in 2005. In particular:

On June 3, 2005 the Parliament of Georgia finished the consideration of the drafts of amendments to the Law “On Copyright and Related Rights” and in June of the same year this draft law entered into force.

More than 150 amendments were made to the “Law of Georgia on Copyright and Related Rights”.

The adopted amendments conventionally may be divided into several groups.

The first group is linked with the use of the subject-matter of copyright and related rights in the cyber space, including the Internet. Taking into consideration the requirements of the Directive 2001/29/EC of the European Union and the WIPO Internet Treaties (WCT, WPPT), the explanations of various terms were altered, among these, “communication to the public”, “rights management information”. New terms were introduced, such as “technological measures”, “circumvention of technological measures”, “temporary copy”, etc.

The second part of amendments concerns the rights of authors of audiovisual



ნაწარმოებების ავტორთა უფლებებს. მიღებული ცვლილებების შესაბამისად, აუდიოვიზუალური ნაწარმოების ყოველი საჯარო ჩვენებისა და საჯარო შესრულების დროს, ჰონორარის მიღების უფლება, რომელიც ავტორთან ერთად, მიენიჭა სხვა ავტორებსაც, კერძოდ, დამდგმელ რეჟისორს, სცენარის ავტორსა და დიალოგების ავტორს.

ცვლილებებისა და დამატებების მესამე ჯგუფის მიხედვით ავტორებსა და მომიჯნავე უფლებების მფლობელებს მიენიჭათ ახალი უფლებები, რომლებიც აქამდე არ არსებობდა. მათ შორის, „გაქირავება და მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა“ გამოიყო ცალკე უფლებად და აღარ წარმოადგენს „გავრცელების უფლების“ შემადგენელ ნაწილს. ხოლო შემსრულებელს მიენიჭა ფონოგრამაზე ჩანერილი შესრულების ორიგინალის ან ასლების „გავრცელების განსაკუთრებული უფლება“, გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის გზით.

ცვლილებებისა და დამატებების უკიდურესი ჯგუფი ეხება ჯანონში გამოყენებულ ტერმინოლოგიას და მის განმარტებებს, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, არ შეესაბამებოდა საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ ტერმინებსა და მათ შინაარსს. შედეგად, რედაქციულად და შინაარსობრივად გასწორდა მრავალი ისეთი ტერმინის განმარტება, როგორიცაა: „გამოქვეყნება“, „ქაბელით გადაცემა“, „მაუნყებლობის ორგანიზაციის გადაცემა“ და სხვ.

ცვლილებებისა და დამატებების მეხუთე ჯგუფი დაკავშირებულია „მონაცემთა ბაზებთან“; კერძოდ, „მონაცემთა ბაზისაგან“, როგორც საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებისაგან, გაიმიჯნა მეორე ტიპის „მონაცემთა ბაზა“, რომელიც არ წარმოადგენს ნაწარმოებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, დაცული უნდა იქნეს მისი დამამზადებლის უფლებები.

ცვლილებებისა და დამატებების მეექვსე ჯგუფი შეეხო ნაწარმოებების საქვანტებში დეპონირებასთან დაკავშირებულ

works. According to the amendments, the right to receive royalties during every public display and public performance of an audiovisual work, along with the composer, was granted to other authors too, in particular, the principal director, the author of scenario and the author of dialogues.

Under the third group of the amendments, authors and holders of related rights were granted new rights, which had not existed before. “Lending and assignment of ownership in other form” is no longer a part of the “distribution right”, but was defined as a separate right. The performer was granted the “exclusive right of distribution” of the original or copies of the performance recorded in a phonogram, by means of selling or other form of assignment of property.

Another group of amendments refers to the terminology used in the law and its explanations, which in most cases did not correspond to the terms accepted in international practice and their meaning. As a result, the explanations of many terms were edited and corrected with respect to content, e.g.: “publication”, “cabling”, “broadcast”, etc.

The fifth group of the amendments is linked with “databases”. In particular, a “database” as a work protected by copyright was demarcated from a “database” of another type, which does not represent a work, but the rights of its maker should be protected.

The sixth part of the amendments affected the procedures linked with the deposition of a work at Sakpatenti, which led to the clarification of the legal

პროცედურებს, რის შედეგადაც უფრო ნათელი გახდა ნაწარმოების დეპონირების იურიდიული შინაარსი და შედეგები.

ცვლილებებისა და დამატებების მეშვეობით უფრო ეხება ავტორთა უფლებების დაცვისა და განხორციელების ინსტიტუტს – ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას და ითვალისწინებს ასეთი ორგანიზაციის დაფუძნებისა და საქმიანობის კრიტერიუმებსა და პირობებს. აღსანიშნავია, რომ ჯანონის 671-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევალა განახორციელოს ამ ორგანიზაციების ხელახალი რეგისტრაცია ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით.

ცვლილებებისა და დამატებების კიდევ ერთი უფრო მეტი უფლებების გადაცემისა და სალიცენზიო ხელშეკრულებებს. შედეგად, მკაფიოდ ჩამოყალიბდა ასეთი ხელშეკრულებების შინაარსსა და ფორმასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

2005 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები და დამატებები ჯანონში „ინტელექტუალური საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ“.

ჯანონის შესაბამისად, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტში იქმნება სპეციალური რეესტრი, სადაც დაინტერესებულ უფლებამფლობელს საშუალება ეძლევა დაარეგისტრიროს საკუთარი სასაქონლო ნიშანი, საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტი, მონაცემთა ბაზა, ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა და მიუთითოს საქონლის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაცია. საბაჟო ორგანოებს უფლება მიენიჭა შეაჩეროს საეჭვო ტვირთი 10 სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო მალეუჭებადი საქონლის შემთხვევაში – 6 სამუშაო დღით. ეჭვის დადასტურების შემთხვევაში, უფლებამფლობელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება და საქონლის განადგურება.

content and results of the deposition of a work.

The seventh group of the amendments refers to the institute of protection and enforcement of authors' rights – collective management organization. The adopted amendments are related to the criteria and conditions of the foundation and activities of such an organization. Under Article 67¹ of the Law, the Ministry of Justice of Georgia was charged with the re-registration of these organizations taking into account the new requirements.

One more group of the amendments was linked with assignment of rights and licence agreements. As a result, the requirements related to the content and form of such an agreement were specified.

On December 28, 2005 the Parliament of Georgia adopted amendments to the Law “On Border Measures Relating to Intellectual Property”.

Under the Law, a special register was established at the Customs Department of Georgia, in which every interested party can register his trademark, subject-matter of copyright and related rights, database, appellation of origin or geographical indication and indicate the information necessary for the identification of the goods. In case of the appearance of suspicious goods, the customs officials are entitled to stop these goods during 10 working days, and perishable goods - during 6 working days. If the suspicion proves to be grounded, the rightholder can appeal to the court and demand the reparation of damages and destruction of the goods.



2005 წლის 20 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები და დამატებები კანონში „სასაქონლო ნიშნების შესახებ“.

ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად, შინაარსობრივად და რედაქციულად დაიხვეწა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური და შედარებითი საფუძვლები. სასამართლოს მეშვეობით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა შესაძლებელი გახდა იმ შემთხვევებშიც, როდესაც რეგისტრაცია განხორციელდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით, ან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე მისი წარმომადგენლის ან აგენტის მიერ თავის სახელზე, ან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციით ირღვევა მესამე პირის საავტორო უფლებები.

საქპატენტი წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკისა და დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით დაზუსტდა ექსპერტიზის ჩატარების პირობები და ფარგლები, ექსპერტიზის გადაწყვეტილების გამოქვეყნებისა და სააპელაციო პალატაში გასაჩივრების წესები, რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და აღდგენის შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ დარეგულირდა ისეთი სასაქონლო ნიშნების გამოყენების საკითხები, რომლებიც დაუცველი ნაწილის სახით შეიცავენ ადგილწარმოშობის დასახელებას ან გეოგრაფიულ აღნიშვნას.

საანგარიშო წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები საქართველოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში.

სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაზუსტდა ობიექტების ჩამონათვალი და დაემატა მონაცემთა ბაზა; სრულყოფილად აისახა უფლებათა დარღვე-

On December 20, 2005 the Parliament of Georgia adopted amendments to the Law “On Trademarks”.

According to the amendments, absolute and relative grounds of refusal for the registration of a trademark were edited and corrected with regard to content. On application to the court it has become possible to consider the registration as invalid even in the cases when the registration was made with an unfair intention, or the representative or agent of the holder of the trademark registered the trademark in his name without the permission of the owner, or the registration infringes the copyright of a third party.

On the basis of the practice established and experience accumulated at Sakpatenti over the years, the conditions and limits of carrying out examination, the rules of publication and appeal of the examination decision at the Chamber of Appeals, the possibility of extension of registration validity term and its restoration were specified.

It is also an important novelty that the matters of the use of a trademark containing as an unprotected part an appellation of origin or a geographical indication were regulated.

In the year under review, the Parliament of Georgia adopted significant amendments to the Criminal Code and the Code of Administrative Violations of Georgia.

As a result of the amendments to the Criminal Code, the list of protected subject-matters was specified and database was added. Article 189 was formulated as “Infringement of Rights of the Holder of Copyright, Related Rights and the

ვის ყველა შესაძლო სახე, რაც მანამდე გათვალისწინებული არ იყო.

მნიშვნელოვანია ისეთი დამამძიმებელი გარემოებების შემოღებაც, როგორცაა დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზანი და დანაშაული ჩადენილი ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების მსგავსად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გაფართოვდა უფლებათა დამრღვევი ქმედებების ჩამონათვალი, კერძოდ: მართლსაწინააღმდეგო ქმედებად ჩაითვალა „ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლა, კონტრაფაქციული ასლების არამართლზომიერი შექმნა, იმპორტი, შენახვა, გაყიდვა, გაქირავება ან სხვა უკანონო გზით გამოყენება უფლებების მართვის ინფორმაციის უკანონო შეცვლა, განადგურება ან გაყალბება, რასაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი“. მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯარიმის ოდენობაც. კერძოდ, პირველად ჩადენილი ადმინისტრაციული გადაცდომისათვის ჯარიმა განისაზღვრა 1000-დან 3000 ლარამდე (ნაცვლად 500-დან - 1000-მდე), ხოლო ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენილი გადაცდომისათვის 3000-ი ლარიდან 5000 ლარამდე (ნაცვლად 1000-დან - 3000 ლარამდე). ამასთანავე, კონფისკაციას დაექვემდებარა ის მასალები, მოწყობილობები და ტექნიკური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება კონტრაფაქციული ეგზემპლარების რეპროდუცირებისა და ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ასავლელად. შესაბამისი რედაქციული ცვლილებები შევიდა ამ მუხლის შენიშვნაშიც.

ამასთან ერთად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი გავრცელდა იმ მონაცემთა ბაზებზეც, რომლებიც არ წარმოადგენენ ნაწარმოებს.

Maker of a Database” and Article 189¹ “Infringement of Industrial Property Rights” was added to the Code. Owing to this, every possible variety of infringement of rights is reflected fully, which was not envisaged before.

The introduction of aggravating circumstances such as the purpose of making high and especially high profit and the crime committed by a group with premeditated conspiracy is also noteworthy.

Similar to the amendments to the Criminal Code of Georgia, in the Code of Administrative Violations of Georgia the list of infringing actions were extended in the Code, in particular, “circumvention of technological measures, illegal purchase, importation, storing, sale, lending or other illegal use of counterfeit copies, unlawful change, destruction or distortion of rights management information, misleading the consumer” was regarded as an unlawful act. The fine amount was increased considerably too. Namely, for the administrative offence committed for the first time a fine is envisaged from one thousand to three thousand lari (instead of five hundred to one thousand lari), and for the repeated offence committed during one year - from three thousand to five thousand lari (instead of from one thousand to three thousand lari). Along with this, the materials, devices and technical measures used for reproduction of counterfeit copies and circumvention of technological measures were subjected to seizure. Relevant editorial changes were entered in the note to this article too.

In addition, the Code of Administrative Violation was applied to the databases, not representing works.



საერთაშორისო ურთიერთობები INTERNATIONAL RELATIONS

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სრულყოფილი დაცვისა და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე მათი დაცვის გავრცელების გაიოლების მიზნით გასულ წელსაც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საერთაშორისო ურთიერთობებს.

საანგარიშო წლის 18-19 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა რეგიონალური სემინარი საავტორო უფლებებისა და საეთერო მაუწყებლობის შესახებ. სემინარის ორგანიზატორები იყვნენ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (ისმო), ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაცია (CISAC) და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“.

სემინარზე განხილული იქნა მაუწყებლობის დარგში საავტორო უფლებების დაცვის აქტუალური საკითხები; საავტორო უფლებების სფეროში მოქმედი ძირითადი საერთაშორისო კონვენციები; საავტორო უფლებების დაცვის პრაქტიკული ასპექტები ეთერში მაუწყებლობისა და კაბელით რეტრანსლირების დროს; საავტორო უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციების საქმიანობა და მაუწყებლობის ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებისა და ლიცენზირების პრაქტიკა ევროკავშირისა და დსთ-ს ქვეყნებში.

სემინარზე მოხსენებებით გამოვიდნენ საავტორო უფლებების სფეროში მომუშავე ექსპერტები ისმო-დან, CISAC-დან, ავტორთა უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციების წარმომადგენლები საფრანგეთიდან, უნგრეთიდან, უკრაინიდან, რუსეთის ფედერაციიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და საქართველოდან.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სამაუწყებლო ორგანიზაციებმა,

In order to ensure the facilitation of proper protection of intellectual property subject-matter and its application to the territory of other countries, international relations occupied an important place last year too.

On October 18-19 of the year under review, Regional Seminar on Copyright and Broadcasting was held in Tbilisi. The seminar was organized by the World Intellectual Property Organization (WIPO), the International Confederation of Societies of Authors and Composers (CISAC) and the National Intellectual Property Centre of Georgia Sakpatenti.



The seminar discussed urgent issues of copyright in the field of broadcasting; basic international conventions in the copyright sphere; practical aspects of copyright protection during broadcasting and cable retranslation; activities of collective management organizations of copyright and practice of negotiations with broadcasting organizations and licensing in the European Union and the CIS countries.

Experts working in the copyright sphere from the WIPO and CISAC, representatives

ინტერნეტპროვაიდერებმა, საქართველოს ავტორთა საზოგადოებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

2005 წლის 18-22 ივლისს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტი“ თანამშრომლებისა და საქართველოს პატენტრწმუნებულებისათვის ჩატარდა სემინარი, რომელიც მიეძღვნა ევროპის ოუსტიციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სასაქონლო ნიშნების დაცვასთან დაკავშირებული დავების დროს, აგრეთვე, კომპიუტერული პროგრამების დაცვასთან დაკავშირებულ სიახლეებს ევროპაში. სემინარზე მომხსენებლებად მოწვეული იყვნენ გერმანიის საპატენტო სასამართლოს მოსამართლეები ქ-ნი მარიან გრაბრუხერი და ბ-ნი ვოლფგანგ ტაუხერტი. სემინარზე წარმოდგენილი და განხილული იქნა ევროკავშირში შემდგარი მრავალი სასამართლო საქმე და გაიმართა საინტერესო დისკუსია, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბებას როგორც საქპატენტის სააპელაციო პალატაში, ისე სასამართლოში.

საქპატენტის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ ისმო-ს, ევროპის საპატენტო უწყების, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა (ვმო) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უწყებების მიერ ჩატარებულ სიმპოზიუმებში, სემინარებსა და კონფერენციებში. ჩვენი უწყების ოცმა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა 16 საერთაშორისო ღონისძიებაში. მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა ამაღლებს თანამშრომელთა პროფესიულ დონეს, ემსახურება გამოცდილების უკეთ გაზიარების საქმეს და ხელს უწყობს ნაყოფიერი თანამშრომლობის გაფართოებას ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის განვითარების მიმართულებით.

of collective management organizations of authors' rights from France, Hungary, Ukraine, the Russian Federation, Azerbaijan, Armenia and Georgia delivered speeches at the seminar.

Broadcasting organizations, Internet providers, representatives of Georgian Authors' Societies and non-governmental organizations participated in the seminar.

On July 18 to 22 a workshop was organized for the staff of Sakpatenti and Georgian patent attorneys, which was devoted to the decisions taken by the European Court of Justice during disputes linked with the protection of trademarks as well as developments concerning the protection of computer software in Europe. Judges from the German Patent Court Dr. Wolfgang Tauchert and Mrs. Marian Grabrucker were invited as speakers. At the seminar many court cases in the European Union were considered, which was followed by an interesting discussion. This will facilitate greatly to the establishment of the proper practice both in the Chamber of Appeals of Sakpatenti and in the court.

Staff members of Sakpatenti participate actively in various symposia, seminars and conferences organized by the WIPO, the European Patent Office (EPO), the WTO and other international organizations and offices. Twenty representatives from Sakpatenti took part in 16 international events. Participation in such events serves the improvement of the professional skills of our staff members, and facilitates the extension of fruitful cooperation in the direction of development of intellectual property protection system.

Especially important was the WIPO Tenth Worldwide Symposium on Geographical Indications, held on June 27-28, 2005 in Parma. Dr. David Gabunia, Director General of Sakpatenti was invited as a speaker to the symposium from the Eastern European



განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი ისმოს მე-10 მსოფლიო სიმპოზიუმი, რომელიც ჩატარდა ჰარმაში 2005 წლის 27-28 ივნისს. აღმოსავლეთი ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებიდან სიმპოზიუმზე მომხსენებლად მიწვეული იყო საქპატენტის გენერალური დირექტორი დავით გაბუნია, რომლის გამოსვლა მიეძღვნა საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის მდგომარეობას და ცნობილი ქართული ტვინოებისა და მინერალური წყლების დასახელებების საზღვარგარეთ დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

საქართველოს ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვა საქპატენტის საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. საქართველოს მთავრობის 2004 წლის №99 განკარგულების შესაბამისად, სხვა ღონისძიებებთან ერთად, საქართველოს საგარეო საქმეთა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქპატენტთან ერთად, დაევალა დაეწყო მოლაპარაკებები ევროკავშირსა და დსთ-ს ქვეყნებთან ადგილწარმოშობის დასახელებების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებების დასადებად.

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის №472 განკარგულებით საქპატენტის გენერალურ დირექტორს დავით გაბუნიას მიენიჭა უფლებამოსილება, რათა გაემართა მოლაპარაკებები საქართველოსა და უკრაინას შორის გეოგრაფი-



and CIS countries. His speech dealt with the state of protection of geographical indications in Georgia and problems linked with the protection of the appellations of well-known Georgian wines and mineral waters abroad.



The protection of Georgian appellations of origin is one of the main priorities in the activities of Sakpatenti. According to Decree №99 of the Government of Georgia of 2004, along with other measures, the Ministry of Foreign Affairs and Agriculture of Georgia together with Sakpatenti was charged with starting negotiations with the European Union and the CIS countries for the conclusion of bilateral treaties on mutual recognition and protection of appellations of origin.

Under Decree №472 of the President of Georgia of 2005, Director General of Sakpatenti David Gabunia was authorized to carry on negotiations to prepare the text of the agreement on mutual recognition and protection of geographical indications (appellations of origin) between Georgia and Ukraine. With that end in view, in September 2005 negotiations were conducted between the Georgian and Ukrainian parties at the State Department of Intellectual Property in Kiev, as a result of which the text of the agreement on mutual recognition and protection of appellations of origin was prepared.

ული აღნიშვნების (ადგილწარმოშობის დასახელებების) ურთიერთადიარებისა და დაცვის შესახებ შეთანხმების ტექსტის მოსამზადებლად. ამ მიზნით, 2005 წლის სექტემბერში კიევში, ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართა მოლაპარაკებები ქართულ და უკრაინულ მხარეებს შორის, რის შედეგადაც მომზადდა ადგილწარმოშობის დასახელებების ურთიერთადიარებისა და დაცვის შესახებ შეთანხმების ტექსტი.

უახლოეს მომავალში ასეთივე მოლაპარაკებები დაიწყება დსთ-ს ყველა ქვეყანასთან.

Starting of similar negotiations with all countries of the CIS is planned in nearest future.



მრავალმხრივი ხელშეკრულებები
MULTILATERAL AGREEMENTS

სახელწოდება	მიერთების თარიღი DATE OF ACCESSION	TITLE
ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია	25.12.1991	WIPO Convention
სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია	25.12.1991	Paris Convention for the Protection of Industrial Property
საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება	25.12.1991	Patent Cooperation Treaty
ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია	16.05.1995	Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works
